საია ეხმიანება გელათის სამონასტრო კომლექსში დარღვევებით ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ დაწყებული გამოძიების მიმდინარეობას

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2020 წლის ოქტომბერში გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა[1] გენერალურ პროკურატურას გელათის სამონასტრო კომპლექსში დარღვევებით ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო სისხლის სამართლის კოდექსის 259[2] (კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება ან განადგურება) და 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა) მუხლებით გათვალისწინებული შესაძლო დანაშაულების ნიშნების არსებობის გამო გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოს დაწყებული ჰქონდა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე N092231020001, გელათის

სამონასტრო კომპლექსის გადახურვის სამუშაოების უხარისხოდ შესრულების პროცესში თანხების შესაძლო მითვისების ფაქტზე.[2]

საქმეზე მიმდინარე გამოძიებისა და მის ფარგლებში ქმედების კვალიფიკაციის თაობაზე დამატებითი ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით, საიამ, 2021 წლის 7 დეკემბერს განცხადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[3] მიმდინარე საქმის ფარგლებში გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის Ð□□ ქვეპუნქტისა (მითვისება ან გაფლანგვა დიდი ოდენობით) და 259[2] მუხლის მე-4 ნაწილით (კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება ან განადგურება) გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნების გამო. აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ამ დრომდე შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ არის მიღებული და ამასთანავე, არ მოგვეწოდა ინფორმაცია ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებისა და ამ დრომდე გამოძიების დაუსრულობლობის მიზეზების შესახებ.

ასევე, რადგან გელათის სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით იკვეთება სამსახურებრივი გულგრილობის ნიშნებიც, გაუგებარია, რატომ არ დაიწყო საგამოძიებო ორგანომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით (სამსახურებრივი გულგრილობა) იმ პირობებში, როდესაც საიამ გენერალურ პოკურატურას მიაწოდა შესაბამისი მტკიცებულებები. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების შესახებ საქმეს იძიებს ის საგამოძიებო ორგანო, რომელსაც ფინანსური დანაშაულების გამოძიების გამოცდილება აქვს და არ გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებასთან დაკავშირებით შესაბამისი გამოცდილება. ამდენად, საკითხის მნიშვნელობისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია, ეს საქმე გამოიძიოს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა.

გამოძიების ყოველმხრივ და სრულყოფილად წარმართვისთვის საია მოუწოდებს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს:

- სისხლის სამართლის საქმე, კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამოსაძიებლად დაექვემდებაროს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს;

- გამოძიების მიმდინარეობისას, კვალიფიკაციის ნაწილში დაემატოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლი (სამსახურებრივი გულგრილობა);

- მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, საზოგადოებას მიაწოდონ სრულყოფილი ინფორმაცია ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა მიმდინარე შედეგების შესახებ.

---

[1] https://gyla.ge/ge/post/gelatis-samonastro-kompleqsis-dazianebis-faqtze-gamodzieba-unda-daitsyos#sthash.7pAao8Be.dpbs

[2] დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის 2020 წლის 27 ოქტომბრის N13/28-61518 წერილი.

[3] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2021 წლის 28 დეკემბრის N18784/15-04-09 წერილი.